სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

20/08/2025

MES 8 25 0001005686

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, ,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ–განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2025 წლის 30 ივნისის MES 4 25 00001.1/67 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის N 01-05-04/112 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, რომლებმაც სსიპ–განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (https://students.emis.ge) რეგისტრაციის შედეგად მოიპოვეს სტუ–ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება, მობილობისათვის საჭირო დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 წლის 12 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა). საბუთები მიიღება 10^{00}სთ-დან - 16^{00}სთ-მდე;

მისამართი: თბილისი; კოსტავას 77; ადმინისტრციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი 334 (შემოსასვლელი სტუ-ის მე-4 კორპუსიდან);

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურს;
4. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტისა და დიზანის საერთაშორისო სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის ჩატარდეს გასაუბრება საფაკულტეტო კომისიის წინაშე (დანართი 2);
5. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით (დანართი 3);
6. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების ადმინისტრაციას მოტივირებული დასკვნების მომზადება და შედეგების მობილობის მსურველთათვის გაცნობა არაუგვიანეს 2025 წლის 18 სექტემბრისა;
7. ფაკულტეტის მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2025 წლის 19 სექტემბრისა;
8. 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ერთიანი ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა არაუგვიანეს 2025 წლის 22 სექტემბრისა;
9. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი